დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების თაობაზე

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მერის უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოსათვის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დასამტკიცებლად წარდგენა.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–25 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიული აქტი ძალას კარგავს თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია